ხელშეკრულება № 190

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი „21“ „11“ 2011წ.

ერთის მხრივ, შპს „ნბრ ბალავარი” (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი, დირექტორის ბადრი დოლიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“ (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალისა და მათთან დაკავშირებული საგნების ყიდვა გაყიდვისას (წყლის გამაცხელებელი) (CPV-44400000 სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 210.00 (ორას ათი) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების დადების საფუძველი

3.1. „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
3.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 25 ნოემბრამდე;
4.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. ბათუმი, მელაშვილის ქ. №26.

5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების ხარისხის საბოლოო შემოწმების ადგილია: ქ.ბათუმი, მელაშვილის ქ. №26.
5.2. მომსახურების ხარისხის საბოლოო შემოწმების დროს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

6. ანგარიშსწორების ფორმა ვადები და ადგილი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში;
6.2. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
8.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის წარმომადგენელი;
8.3 ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს;
8.4 დარღვევების აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

9.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;
9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შემსრულებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას;
12.2 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისთვის უფლებების გადაცემა;
12.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;
12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ისეთ შემთხვევებში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსრულებლს, მეორე კი დამკვეთს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი

შპს „ნბრ ბალავარი"-ს
დირექტორი

----------ბ. დოლიძე

სს"საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი
BAGAGE22
ა/№ 268939900
ს/კ 245625006
ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №116.

დამკვეთი

სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს
ხელმძღვანელი

----------ა. დემეტრაშვილი

სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი 0516
საიდ/კოდი 204578242

ქ. ბათუმი მელაშვილის ქ. №26